მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-11

დ. მესტია **30.11. 2022წ**

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> ზ. ჩართოლანი, ვ. ჭკადუა, შ. ცინდელიანი, მ. ხორგუანი, რ. გვარმიანი, ზ. ფალიანი, ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, გ. ხვისტანი, დ. გვიჩიანი, **თ. დადეშქელიანი, ლ. პაკელიანი,** ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, **მ. რატიანი,** ლ. ქალდანი, შ. გულედანი, კ. გუჯეჯიანი, გ. გელოვანი, შ. რატიანი, ზ. ჯაფარიძე, დ. ჯაფარიძე.

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> მ. ჯაფარიძე, **ი. რატიანი, გ. დადვანი, ი. გირგვლიანი,** მ. პაკელიანი, მ. კვანჭიანი, მ. გელოვანი, ზ. ხარძიანი, ა. რატიანი.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ-ის ახალგაზრდული საბჭოს დირექტორი ი. მიქიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლ. გულედანი.

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,სამეგრელოს ხმა"-ს წარმომადგენლები: ჯამბულ ნაჭყებია და თენგიზ ჯგუშია.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩართოლანი.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 23 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

/მომხსენებელი: თ. ნავერიანი. თანამომხსენებელი: რ.გვარმიანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობის) ნაწილის ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე".

/მომხსენებელი: ი. მიქიანი. თანამომხსენებელი: ზ.ფალიანი./

3. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსის ანგარიში2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ".

/მომხსენებელი: ი. მიქიანი. თანამომხსენებელი: ბ.ნაკანი./

4. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე".

/მომხსენებელი: ლ. გულედანი. თანამომხსენებელი: ზ.ფალიანი./

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ".

/მომხსენებელი: ე. გვარლიანი. თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

6. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ".

/მომხსენებელი: ი.ღვაჩლიანი. თანამომხსენებელი: რ.გვარმიანი./

7. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეჩოს საჯარო სკოლისათვის ჯემალ გაბულდანის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

/მომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

8. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ვიკა ფილფანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ".

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ"**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------23

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №გ-135.135223341 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 5.08.2022 წლის N-1398 განკარგულებით, მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 2 650 00- ლარი, რომელიც გადანაწილდა შემდეგ პროექტებზე:

- ცხუმარის ტერიტორიულ ერთეულში ცენტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 429 660 ლარი.
- ეცერის ტერიტორიულ ერთეულში ბარშამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია -119 760 ლარი.
- ლენჯერის ტერიტორიულ ერთეულში სოფ ლაშთხვერამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია -117 883 ლარი.
- იფარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ადიშში წყლის და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა - 337 280 ლარი.
- იდლიანის დაკიდული ხიდის მშენებლობა - 500 000 ლარი.
- მულახის ტერიტორიულ ერთეულში სოფ მაჯვდიერიდან სოფ.ჯაბეშამდე გზის მშენებლობა -237 540 ლარი.

- ს. ფარის ცენტრთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 520 877 ლარი.
  მომხსენებელმა ისაუბრა შიდა მუხლობრივ გადატანებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა--კომისიამ განიხილა პროექტი, საქმიდან გამომდინარე კომისია მხარს უჭერს ცვლილებებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება № 17 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ი. მიქიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობის) ნაწილის ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ-ის ეფექტური საქმიანობისთვის აუცილებელია ოთახი და სამუშაო გარემო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობის) ნაწილის ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №- გ-135.135223342 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ი. მიქიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსის ანგარიში2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ“.

მომხსენებელმა ანგარიში წარმოადგინა პოვერპოინტის ფორმით, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურისათვის, ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი განვითარება, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება, კერძო საქმიანობის სტიმულირება, ინვესტიციების მოზიდვა და ახალი, გრძლევადიანი სამუშაო ადგილების შექმნა, პრიორიტეტული მიმართულებებია. მუნიციპალიტეტის დამტკიცებული სტრატეგიიდან გამომდინარე ძირითადი ორიენტირი არის ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება. მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის 9 თვის გეგმა ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციისთვის შეადგენს 15 237 866 ლარს, ხოლო შესრულება 10 671 639 ლარია. ისაუბრა მიმდინარე პროექტების ეტაპებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ბ. ნაკანი-- კომისიამ განიხილა ანგარიში და მოიწონა გაწეული საქმიანობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი ----- მ. რატიანი.

თავი შეიკავა ---- დ. გვჩიანმა, დ. ჯაფარიძე.

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას **განკარგულება** ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსის ანგარიში2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ".

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №-გ-135.135223343 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. გულედანმა ,,ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე".

მომხსენებელმა წარმოადგინა თოთხმეტი პროექტი, ისაუბრა პროექტების მსვლელობაზე და ეტაპებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა- აღნიშნა, რომ შერჩეულია მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული პროექტები და იკითხა ნაკრის გზის პროექტზე.

კ. ჟორჟოლიანი--მომავალი წლის პროექტებში გათვალისწინებულია ნაკრის გზა და ყველა თემში მისასვლელი გზის მონაკვეთები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე".

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება№-გ-135.135223344 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა ე. გვარლიანი ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ".

მომხსენებელმა ისაუბრა სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, სამსახური მუშაობდა დებულების შესაბამისად. სოციალური პროგრამებით გათვალიწინებული დახმარებით ყოველწლიურად საშუალოდ 1400 პირის ოჯახი სარგებლობს, რაც მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 14 % შეადგენს. ისაუბრა სამომავლო გეგმებზე და პროექტებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანმა--არ იქნება ურიგო ომის ვეტერნებზე თანხის მომატება და ზრუნვა ადგილობრივი მმართველობის მხრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას **განკარგულება** ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ".

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №- გ-135.135223345 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა ი. ღვაჩლიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ".

მომხსენებელმა ირინა ღვაჩლიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს განხორციელებული აუდიტის ანგარიშები, რისკების კრიტერიუმების გათალისწინებით შერჩეული იქნა ორი სამსახური კერძოდ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისობის აუდიტი და ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, მომხსენებელმა აღნიშნა რომ ორივე სამსახურში გამოვლინდა ხარვეზები, წერილიები დაიგზავნა, მაგრამ უკუკავშირი არცერთ სამსახურიდან არ მიუღიათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანი--მოიწონა სამსახურის ანგარიში, აღნიშნა, რომ სამსახური ახალი შექმნილია და ამ მოკლე ხანში ბევრი საქმეა გაკეთებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ".

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №-გ-135.135223346 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეჩოს საჯარო სკოლისათვის ჯემალ გაბულდანის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ბეჩოს საჯარო სკოლის მომართვა, სამეურვეო საბჭოს კრების ოქმი, სადაც ითხოვენ სკოლისთვის ჯემალ გაბულდანის სახელის მინიჭებას. მომხსენებელმა აგრეთვე ნიშნა, რომ ადგილზე მისვლით შესწავლილ იქნა საკითხი, მოეწყო შეხვედრები სკოლის დირექციასთან და მოსახლეობასთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანი--იდენტიფიცირებისთვის არ მიაჩნია სრულყოფილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეჩოს საჯარო სკოლისათვის ჯემალ გაბულდანის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №- გ-135.135223347 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეერვე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ვიკა ფილფანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ვიკა ფილფანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“.

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №- გ-135.135223348 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზაურ ჩართოლანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე
მ/შ